პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 კვირა 2 მარტი № 52 (16178) ფასი 2 კაპ. 1975

ხუთწლედის დამლევამდე 304 დღე დარჩენილი

თვითთეული დღე და თვითთეული საათი — მხოლოდ და მხოლოდ დამკვრელური!

მთელი ჩვენი ცოდნა და ენერგია — ხუთწლედის ვადამდე შესრულებას!

გვახსოვდეს: ეს არის დიდი პატრიოტული, ჩვენი ღირსების და სახელის საქმე!

სოციალისტური შეჯიბრების დევიზია: მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ხუთწლედის 1975 დამთავრებელი

დამთავრებელი წლის კალენდარი

კომკავშირის რიგების დათვალიერება

ლენინი იწყებს კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლა. ეს დიდი, მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ქალაშვილებისა და ჭაბუკების ცხოვრებაში. დიდი მღელვარებით მიიღებენ სრულიად საკავშირო ალკკ წევრები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტიან ახალი ნიმუშის კომკავშირულ ბილეთებს. და თვითეული ამ დროს თავისებურად შეიგრძნობს პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ არის საბჭოთა ახალგაზრდობის 34-მილიონიანი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ერთგული — თანაშემწისა და რეზერვის რიგებში.

ლენინი, პარტია, კომკავშირი... ეს ცნებები განუყოფელია. ლენინური იდეები ის საძირკველი გახდა, რომელზეც იქმნებოდა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. ვ. ი. ლენინის ანდერძი კომკავშირელთა თაობებს შთაგონებს შრომას, გმირობას. ისინი მუდამ მშობლიური პარტიისთან ერთად არიან. კომკავშირული ბილეთი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების მემკვიდრეობითობას განასახიერებს.

ამ ბილეთებს გულთან ატარებდნენ ის მებრძოლი ჭაბუკები, რომლებიც იცავდნენ წითელ პეტერსბურგს და ლაშქრავდნენ პერეკოპს, აშენებდნენ მაგნიტკას, „ნეიპრის ჰიდროელექტროსადგურს, სიჭაბუკის ქალაქს ამურზე. „ჩემს პარტიულ ბილეთში, — წერდა ნიკოლაზ ოსტროვსკი, — ძევს მისი პატრა ვაჟი — ლენინური კომკავშირის წევრის ბილეთი, და მე სათუთად ვინახავ მას, მთელი ჩემი კომკავშირული ცხოვრების მოწმეს!..“ დიდი ხანმაჯული ომის წლებში ბევრმა ახალგაზრდა პატრიოტმა სიცოცხლე შესწირა საშობლოს: ხისხლით შეღებული კომკავშირული ბილეთი უშიშარობის, ვაჟკაცობისა და სიმტკიცის, ნათელი კომუნისტური იდეალების ღრმა ერთგულების სიმბოლო გახდა.

თაობათა ესტაფეტა საიმედო ხელშია. დამკვრელური შრომითა და წარჩინებული სწავლით დებს პარტიის საკმისადმი ერთგულებას ფიცს ხამოცდაათიანი წლების ახალგაზრდობა. დოკუმენტების გამოცვლას კომკავშირი იწყებს შესანიშნავი მიღწევებით, რომლებითაც ხამართლიანად ამაყობს ხალხი. მეცხრე ხუთწლედის 20 მილიონზე მეტმა ახალგაზრდა გვარიელმა ვადამდე შეასრულა მისი განმსაზღვრელი წლის დავალებები. ათასობით კომკავშირელმა კი დაამთავრა თავისი ხუთწლიანი გეგმა. როგორც დროის პაროლი, ისე გაისმის 144 დამკვრელური კომკავშირული შენებლობების — ბაიკალ-ამურის მაგისტრალის, კამის საავტომობილო ქარხნის, ტიუმენის ნავთობსარეწავის ხახელები... მარტო ერთ წელიწადში მილიარდ მანეთზე მეტი შეიტანა ხუთწლედის ფონდში. საკავშირო ალკკ XVII ყრილობის ხახელობის სრულიად საკავშირო სტუდენტთა ხამშენებლო რაზმმა. ახალგაზრდები ბნურვალედ გამოეხმაურნენ მოწოდებას, რომ ფაზიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად აშენდნენ ციმბირ მაგისტრალზე, ვინც გმირულად დაიღუპა მტრებთან ბრძოლაში.

„პარტია დიდად აფასებს საბჭოთა ახალგაზრდობის შრომითს ენთუზიაზმს“, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წერილში საოცალისტური შეჯიბრების გამარჯვებული მოსკოველი კომკავშირელებისადმი, რომლებმაც მოიპოვეს უფლება პირველებს გადაეღოთ ფოტოსურათი ჩვენი ხალხის წმიდათაწმიდა რელიკვიასთან — გამარჯვების დროშასთან. ახალი შემოქმედებითი აღმავლობით უპასუხებს ქვეყნის ახალგაზრდობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, ხაბჭოთა ხალხისადმი. „ხუთწლედს დამკვრელური ფინიშის ყველაფერი შრომითი გამარჯვებისათვის!“ — ასეთია დღეს ჩვენი ახალგაზრდობის დევიზი.

კომკავშირული დოკუმენტების დაწყებული გამოცვლა, კომკავშირის რიგების ხაბრძოლო დათვალიერება, დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიებაა, რომელიც მიზნად ისახავს კიდევ უფრო ამაღლოს სრულიად საკავშირო ალკკ წევრის წოდება, კომკავშირელთა შრომითი და ხაზოგადოებრივი აქტივობა, მათი შეგნებულობა, დისციპლინა, ჭაბუკოფნა. შეასრულონ პარტიის ახალი დავალებები. გამოცვლასთან დაკავშირებულმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამ ამოცანათა შესრულებისათვის კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, რომლებიც დასახულია კომკავშირის XVII ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება იმას, რომ თვითეულმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ ღრმად, მომთხოვნელად გააანალიზოს თავისი ცხოვრებისა და მუშაობის უველა მხარე. უნდა გაირკვეს, თუ რას უნდა დავუკოროთ მხარი, რა უნდა განვითარდეს თანამიმდევრულად და რა უნდა გაუმჯობესდეს. რამდენად აქტიურად მონაწილეობენ კომკავშირელები წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის ბრძოლაში? როგორ სწავლობს ახალგაზრდობა? რა არის საჭირო მისი იდეური წრთობისა და ზნეობრივი აღზრდის გაძლიერებისათვის? ამ კითხვასა და სხვა კითხვებზე, რომლებსაც ცხოვრება აყენებს, პასუხი უნდა იყოს უაღრესად კონკრეტული, თვალსაწიერებდეს ამა თუ იმ კომკავშირული კოლექტივის რეალურ პირობებსა და სპეციფიკას, რათა მისი საქმიანობა კვიდეს თვისებრივად ახალ საფეხურზე.

დოკუმენტების გამოცვლის მსვლელობაში ბანსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალურ მუშაობას. არის ყველა შესაძლებლობა გავიცნოთ თვითეული კომკავშირელი, ფართოდ გამოვიყენოთ ისეთი ფორმები და მეთოდები, როგორიცაა ლენინური ჩათვლა, ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური ატესტაციები, გასაუბრებანი, სრულიად საკავშირო ალკკ წევრთა ინფორმაციები საწესდებო მოვალეობათა შესრულების შესახებ. ყველაზე მეტი უურადღება სჭირდებათ იმ ამხანაგებს, რომლებსაც რაიმე პრეტენზიებს უყენებენ. მომთხოვნელობის ამაღლების შედეგი უნდა გახდეს კომკავშირული რიგების შემდგომი განმტკიცება.

დაწყებული კამპანიის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ კამპანიაში პარტიულ ორგანიზაციათა აქტიურ მონაწილეობაზე. სრულიად საკავშირო ალკკ დოკუმენტების გამოცვლა დაიწყო კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენის — პარტიული დოკუმენტების გამოცვლის შემდეგ. გაწეული მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რომელიც განზოგადებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში, უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდულ კავშირში — რა თქმა უნდა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ამ ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა მასში. პარტიული ბირთვი. ახლა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ბდევნების ფლობენ 60 პროცენტი კომუნისტები არიან. უფროსი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები ხდებიან ახალგაზრდათა დამრიგებელნი, კისრულობენ ინდივიდუალურ შეფობას.

დოკუმენტების გამოცვლის მსვლელობაში ყოველმხრივ დაეხმარებიან და მხარს დაუჭერენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც არ უნდა დაიშურონ ძალ-ღონე, რათა ეს ღონისძიება გახდეს კომუნისტური აღზრდის ნამდვილი სკოლა. იმაზე, თუ როგორ ჩაივლის დოკუმენტების გამოცვლა, გარკვეულწილად შეგვეძლება მსჯელობა ამა თუ იმ ორგანიზაციისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონეზეც. საჭიროა, რომ უფრო მჭიდრო ხდებოდეს ყოველდღიური კონტაქტები პარტიულ და კომკავშირულ კომიტეტებს შორის, კომუნისტებსა და კომკავშირელებს შორის ცვლისათვის, მისი იდეური და ზნეობრივი წრთობისათვის ზრუნვა კომუნისტთა უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

დოკუმენტების გამოცვლა კიდევ უფრო ამაღლებს კომკავშირის რიგების ბრძოლისუნარიანობას. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა ახალი ძალით ცხადყოფს თავის უსაზღვრო ერთგულებას ლენინიზმის იდეალებისადმი, მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმისადმი.

ПРАВДА 1 მარტის მოწინავე

საქართველოს პარტიულ - სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

როგორც კი დავბრუნდები ჩემს ბრიგადაში...

ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ძირითადად საშუალო სკოლადამთავრებული ქალიშვილებით არის დაკომპლექტებული. ესენი არიან მოწინავე მეელორეები: ზ. გაწირიძე, ზ. ჯაგორდანიძე, ლ. იჭირაული, ა. მოზაიძე, ც. ქაიძე, ლ. იდიძე და სხვები. მათი კაი ქალობა მთელ რაიონში არის ცნობილი.

ბრიგადამ თავდადებული შრომის შედეგად ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადსა და 6 თვეში შეასრულა. ხუთწლედით გათვალისწინებული 7.886 სულის ნაცვლად სამ წელიწადსა და 6 თვეში ნამატი 7.998 სული გოჭი მივიღეთ, ხოლო ღორის ხორცი — 3.802 ცენტნერის მაგიერ 3.873 ცენტნერი. 1.000 სულის ნაცვლად გამოვზარდეთ და გავყიდეთ 1.179 სული სანაშენე მოზარდი.

ჩვენი ბრიგადა ახლა მუშაობს მეათე ხუთწლედის ანგარიშში.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ჩვენმა ბრიგადამ ახალი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები იკისრა: 1975 წელს 1 ნეზვზე ნავარაუდევი 14 გოჭის ნაცვლად შევინარჩუნოთ 19, ვაწარმოოთ 950 ცენტნერი ღორის ხორცი, სანაშენე მოზარდი 400 სულის ნაცვლად გამოვზარდოთ 500 სული; ამასთან, ერთი კილოგრამი ხორცის წარმოებაზე 10,5 საკვები ერთეულის ნაცვლად დავხარჯოთ 6 საკვები ერთეული.

შრომის ნამდვილი დღესასწაული იყო 28 თებერვალი, როცა თბილისში შეიკრიბნენ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილენი და ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი.

როცა დარბაზში ვიჯექი და ვისმენდი ორატორთა გულში ჩამწვდომ სიტყვებს ჩვენს მომავალ გეგმებსა და ამოცანებზე, ხუთწლედის დავალებათა ვადაზე შესრულების მნიშვნელობაზე, ასეთი აზრი დამებადა: როგორც კი დავბრუნდები ჩემს სოფელში შევკრიბო ბრიგადის წევრები და მოვუთხრო პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ვფიქრობ, გამოვნახავთ დამატებით ზოგიერთ ისეთ რეზერვს, რომელიც კიდევ უფრო გაადიდებს პირუტყვის რაოდენობას.

ახლა ჩვენი უმთავრესი ამოცანა და სახრუნავია ყოველდღე გულმოდგინედ და ბეჯითად ვიშრომოთ იმ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც მიიღეს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა.

ნაზო კეტრიანაშვილი,

ხსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის სანაშენე მეღორეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ეროვნული ფლაგი

საპატიონი

კასპი. (საკ. კორ.). დღისის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის მესუთე წელს იმუშაონ იმ თანასოფელ ჭაბუკთა მაგივრადაც, რომლებიც ომში მამაცთა სიკვდილით დაეცნენ. პირველ ბრიგადაში ჩარიცხეს საბჭოთა კავშირის გმირი ი. ხმალაძე. მის სახელზე წელიწადს 3 ტონა შაქრის ჭარხალს მიიღებენ, ხოლო საბჭოთა კავშირის გმირის ს. ასლამაზიშვილის სახელზე, რომელიც მეშვიდე ბრიგადაში ჩარიცხეს — 2 ტონა შაქრის ჭარხალს. პარტიზანი. აბრამიძის სახელზე მესუთე ბრიგადის წევრები 1 ტონა ყურძენს აწარმოებენ. მეიქვსე ბრიგადის წევრებად მიიღეს ძმები ალექსანდრე, ლავრენტი და ივანე უხურგუნაშვილები. მათს ანგარიშზე ბრიგადის წევრები აწარმოებენ 3 ტონა ბოსტნეულს.

კოლმეურნეობის მერვე ბრიგადაში საპატიო წევრებად ჩაირიცხნენ ვახტანგ და დავით ხორბალაძეები, მუსამე ბრიგადაში — გ. უხურგუნაშვილი, ხოლო სამი ძმა — ვახტანგ, ალექსანდრე და მათი ყვინთაშვილები — მეოთხე ბრიგადაში. მათს ანგარიშზე გეგმის გადამეტებით 8 ტონა შაქრის ჭარხალს აწარმოებენ. მიღებული თანხა მშვიდობის ფონდში ჩაირიცხება.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირს

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

მხურვალედ, მეგობრულად მოგვესალმებით და გულითადად გილოცავთ საბელოვან იუბილეს — ჩეხოსლოვაკიაში ჩვენს ქვეყანასთან მეგობრობის პირველი ორგანიზაციის — ახალი რუსეთთან ეკონომიური და კულტურული დაახლოების საზოგადოების შექმნის 50-ე წლისთავს.

საბჭოთა კავშირთან მეგობრობის მოძრაობამ, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაიწყო, დასაბამი მისცა ჩვენი ხალხების ფართო ძმურ ურთიერთობას. მან გააერთიანა სოციალიზმის იდეებით, მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მაგალითით აღფრთოვანებული მეზნებარე პატრიოტები და ინტერნაციონალისტები, საზოგადოებისა და მოვგიანებით შექმნილი სსრ კავშირის მეგობართა კავშირის ათასობით აქტივისტი, რომლებიც პოლიციის ტერორისა და დევნის პირობებში მუშაობდნენ, ბახდენ საბჭოეთის მხარდაჭერისა და ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის თავდადებული მებრძოლები. აცნობდნენ რა მასებს სიმართლეს სსრ კავშირის, სოციალიზმის შესახებ, ეს ადამიანები კომუნისტებთან ერთად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური მომავლისათვისაც იბრძოდნენ. და ღირსშესანიშნავია, რომ, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, სსრ კავშირის მეგობრები პირველნი ჩაიდგნენ ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლთა რიგებში და ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშიზმის წინააღმდეგ ღიად გამართულ ბრძოლაში.

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებამ და ბურჟუაზიის ძალებზე მისი მუშათა კლასის გამარჯვებამ ფართოდ გაუხსნა გზა ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ყოველმხრივ თანამშრომლობისა და ნამდვილ ძმობას. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირი, რომელიც შეიქმნა 1948 წლის გმირული თებერვლის დღეებში და მემკვიდრეობით მიიღო სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის პირველ ორგანიზაციათა სახელოვანი ტრადიციები, ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის სიმამაცე დასაყრდენი გახდა სოციალიზმის მშენებლობისა და საბჭოთა კავშირთან ინტერნაციონალური მეგობრობის განვითარებაში.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პირველი ორგანიზაციის ნახევარი საუკუნის იუბილე აღინიშნება ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 30-ე წლისთავის დღესასწაულის წინ. განვლილმა ათწლეულებმა უდიდესი როლი შეასრულა ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში. იგი სოციალისტური გახდა. თქვენთან ერთად გულწრფელად გვახარებს ის ჭეშმარიტად შესანიშნავი მიღწევები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა სამშობლოს სოციალისტურ გარდაქმნაში, მისი ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

დიდად გვახარებს, რომ წლითიწლობით მტკიცდება ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობა, ღრმავდება სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა სულიერი ურთიერთობა, სულ უფრო მრავალმხრივი ხდება ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი კომუნისტური პარტიების, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ყოველმხრივი ურთიერთობა კიდევაც წარმატებით განვითარდება ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის საკეთილდღეოდ, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან და დიდად აფასებენ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის საქმიანობას, რომელიც ინტერნაციონალური ძმობისა და სოციალისტური სოლიდარობის დიდი იდეებს გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლია. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის საქმიანობის მაღალი შეფასების დადასტურებაა მისი დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენით.

გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, მაღალ ჯილდოს და გისურვებთ დიდ წარმატებებს კეთილშობილურ მუშაობაში ჩვენი ქვეყნების მშრომელთა გულითადი, ძმური ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

დაე მარად ცოცხლობდეს და ყვავდეს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი მეგობრობა!

ლ. ბრეჟნევი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირი დაჯილდოდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 28 თებერვალი.

საკავშირო დროშის მფლობელებთან



ზუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

კოლმეურნეებმა ოთხი წლის განმავლობაში შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის, რძის, ხორცის, აბრეშუმის ჭიის მიყიდვის ხუთწლიანი დავალება.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალსოფლელმა მევენახეებმა. ისინი 160-180 ცენტნერ ყურძენს იღებენ ჰექტარზე. ეს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რესპუბლიკაში. ყოველწლიურად კოლმეურნეობა სახელმწიფოს აბარებს თითქმის ორასთას ხუთას ტონა ყურძენს.

ახლა პლანტაციებში გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული. ნიადაგს ამუშავებენ ახალი ვენახების გასაშენებლად, სხლავენ ვაზს, შეაქვთ სასუქები.

* * *

ხურათებზე: ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ვაზის გასხვლა. წინა პლანზეა მევენახე შოთა მიქიაშვილი. ახალი ვენახების გასაშენებლად ნიადაგის დამუშავება.

ი. ჭოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ცოდნის აქტიური პროპაგანდისტები

ნახევარი საუკუნე შეუსრულდა გამომცემლობა „სოვეტსკაია ენციკლოპედიას“. საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მიღწევათა პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობისა და საენციკლოპედიო ლიტერატურის გამოცემის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის გამომცემლობა „სოვეტსკაია ენციკლოპედია“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდდა.

28 თებერვალს გაიმართა საზეიმო კრება, რომელზეც მის კოლექტივს გადასცეს სამშობლოს დიდი ჯილდო. მოსკოვის მეცნიერთა სახლში შეიკრიბნენ გამომცემლობის მუშაკები, აგტორთა მრავალრიცხოვანი აქტივი, მკითხველები, პრესის ორგანოების მუშაკები, პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ამხანაგ ა. პ. კირილენკოს სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ამხ. ა. პ. კირილენკომ კრების მონაწილეებს და მათი სახით გამომცემლობის ყველა მუშაკს, მისი ავტორების მრავალრიცხოვან კოლექტივსა და მეცნიერ კონსულტანტებს, პოლიგრაფისტ მუშებს, ყველას, ვინც მონაწილეობს საენციკლოპედიო გამოცემათა მომზადებასა და გამოშვებაში, გულითადად მიუღოცა სამშობლოს დიდი ჯილდო. შემდეგ მან თქვა:

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო შევასრულო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის თხოვნა — გადმოგცეთ მისი მხურვალე სალამი და ახალი წარმატებები გისურვოთ თქვენს კეთილშობილურ მუშაობაში.

ხაბჭოთა საენციკლოპედიო საქმის იუბილე ემთხვევა საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის დიდ მოვლენას — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250-ე წლისთავს. ლენინური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ მეცნიერებას, მის თვალსაჩინო წვლილს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში, თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

ჩვენი აკადემია სამართლიანად ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ავტორიტეტიან სამეცნიერო ცენტრად. მან კაკობრიობა ბევრი თვალსაჩინო აღმოჩენით გაამდიდრა, რომლებშიც აისახა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენია და სახელი გაუთქვა საბჭოთა საშობლოს.

მისი ღირსშესანიშნავი იუბილეს გამო უკვე გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების, ფილიალებისა და სამეცნიერო ცენტრების საზეიმო კრებები, რომლებიც მეცნიერული აზრის მთამბეჭდავ მიღწევათა დათვალიერებად გადაიქცა და რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. მეცნიერების ეს დიდი დღესასწაული დამთავრდა აკადემიის საუბილეო სესიით, რომელიც გაიმართა მოსკოვში პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება გადაიქცა უშუალო საწარმოო ძალად, გახდა ტექნიკური პროგრესის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული ზრდის დამჩქარებელი. კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის ფრიად საჭიროა დღეიადაგ ვავითარებდეთ ფუნდამენტურ კვლევას, რომელიც სახავს ტექნიკისა და წარმოების შემდგომი პროგრესის შესაძლებლობებს, განუწყვეტლივ ვზრუნავდეთ მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირის გამტკიცებისთვის.

ენციკლოპედია მეცნიერების პირველ, მისი მიღწევების, ბუნებისა და საზოგადოების შესახებ დაგროვილი მდიდარი ცოდნის კონცენტრირებული გამოხატულებაა, ჯერ კიდევ სკოლის წლებში თვითეული ჩვენგანი სულ უფრო დიდი პატივისცემით ეკიდება ენციკლოპედიას როგორც სამეცნიერო ავტორიტეტს, კაცობრობის ცოდნის საყოველთაო კრებულს, როგორც კეთილდამრიგებელს სწავლასა და შრომაში.

ხაბჭოთა საენციკლოპედიო საქმეს იმთავითვე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი დიდი ლენინი. ჯერ კიდევ რევოლუციამ

(დასასრული მე-2 გვ.)

საბჭოეთი: ახალი ამგები

უსტ-კუბი (ირკუტსკის ოლქი), 1 მარტი. (საკ. კორ. ვ. ზუევი). დღეს სადგურ ლენაში ჩამოვიდა უკრაინელ კომკავშირელთა რაზმი — 350 ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დასავლეთ უბნის მშენებლობაში.

ბაკო, 1 მარტი. (საკ. კორ. ვ. ვასინი). დღეს ვადაზე ერთი დღე-ღამით ადრე გავიდნენ რეისში თბომავლები „კასპი“ და „ბაკოსოვეტი“, ისინი ვადამდე დაამუშავა ნავსადგურის მუშაობა ნ. დადაშევის გამსზვილებულმა კომპლექსურმა ბრიგადამ.

ამ კოლექტივმა პირველი ბაკოს ნავსადგურში დაიწყო ტვირთის გადატვირთვის პროგრესული მეთოდით მუშაობა, მხარი დაუჭირა ილ. ჩოვსკელ ა. ბარანოვსკის თაოსნობას. ახლა ილ. ჩოვსკელთა მეთოდით შრომობს ბაკოს ნავსადგურის ბრიგადების ნახევარზე მეტი, რომლებმაც წლის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით ვადამდე გადაამუშავეს 30 ათას ტონაზე მეტი ტვირთი.

მიფრინავს რვა თანამგზავრი

1975 წლის 28 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-711“, „კოსმოს-712“, „კოსმოს-713“, „კოსმოს-714“, „კოსმოს-715“, „კოსმოს-716“, „კოსმოს-717“, „კოსმოს-718“. რვაეე თანამგზავრი ორბიტაზე გაიყვანა ერთმა მატარებელმა რაკეტამ. თანამგზავრებზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. რვაეე თანამგზავრი მოძრაობს ორბიტებზე, რომლებიც გაანგარიშებულს უახლოვდება.

თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ნაკოორდინაციო გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკ. ინ.).

ცოდნის აქჯიური პროპაგანდისკენ

(დასასრული).

მდგ. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენციკლოპედიურ ლიტერატურას, მიაჩნდა იგი მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის, მასების განათლებისა და მოწინავე იდეების გავრცელების უმნიშვნელოვანეს საშუალებად. სტატია „კარლ მარქსი“, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა იმ დროისათვის პოპულარული გრანატის რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის, მარქსიზმის, როგორც მსოფლიო რევოლუციური გარდაქმნის იდეებისა და დებულებების მთლიანი სისტემის ჩამოყალიბების კლასიკური ნიმუშია.

მეტად საგულისხმოა, რომ ოქტომბრის გამარჯვებისთანავე ვლადიმერ ილიას-ძემ დასახა ახალი, სახალხო ენციკლოპედიის შექმნის ამოცანა, რომელიც ასახავდა ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობას, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებსა და პროცესებს აშუქებს მუშათა კლასის მსოფლმხედველობის პოზიციებიდან, ასახავს ადამიანის ცოდნის ყველა დარგის განვითარებას, მატერიალური და სულიერი კულტურის მიღწევებს.

საბჭოთა ენციკლოპედია ასახავს მსოფლიოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მისი უდიდესი ზემოქმედებით მოხდარ გიგანტურ ცვლილებებს. მრავალფეროვანი ფაქტებითა და მონაცემებით იგი ცხადყოფს ოქტომბრის სამშობლოს მიღწევებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, საბჭოთა ხალხს, პროგრესული კაცობრიობის ავანგარდის, შემოქმედი და მებრძოლი ხალხის, გმირი ხალხის დიდებულ და სახელოვან საქმეებს! საბჭოთა ენციკლოპედია შთამბეჭდავად ასახავს მოძმე სოციალისტური ქვეყნების წარმატებას კომუნისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების, საერთაშორისო მუშათა კლასის, განვითარებადი ქვეყნების ხალხების ბრძოლას.

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო საბჭოთა ენციკლოპედიის ასეთ თავისებურებაზეც: ჩვენს ქვეყანაში, სადაც საზოგადოებაში მშრომელ ადამიანს მაღალი მდგომარეობა დუმკვიდრდა, პირველად საენციკლოპედიო გამოცემებში შეტანილია წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა — მეშახტეთა და მეტალურგთა, მხვნელ-მთესველთა და მქსოველთა, მშენებელთა და შენავთობეთა, ყველა იმ თვალსაჩინო ადამიანის ბიოგრაფიები, რომელთა სახელოვანი საქმეებით ამაყობს სამშობლო.

ორატორმა დაასახელა პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრება. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიისადმი, ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მამართვას.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველ ორ თვეში ჩვენ კარგი სტარტი ავიღეთ. სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა ამ ხნის მანძილზე. გადაჭარბებით შესრულდა. ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთავრდება საგაზაფხულო თესვისათვის, და ისინი მზად არიან ჩაებან უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

წლეულს კიდევ უფრო დიდი გაქანება, ახალი ძალა მიეცა საყოველთაო-სახალხო სოციალიზმ ტრ შეჯიბრებას. სოციალისტური ვალდებულებები, რომლებიც იკისრეს შრომითმა კოლექტივებმა, ცხადყოფენ, რომ პარტიულ ორგანიზაციებსა და ყველა მშრომელს კარგად ესმით დეკემბრის პლენუმის დასკვნა, რომ 1975 წლის საგეგმო დავალებები უნდა მივიჩნიოთ მინიმალურად და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა გადაჭარბებით შეასრულოთ ისინი. ყოველივე ამით კვლავ ვლინდება პარტიისა და ხალხის ერთიანობა. ყველა მშრომელის მისწრაფება მაქსიმალური წვლილი შეიტანონ პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

ამ წლის თავისებურებებს რომ ვეხებით, გვინდა ვთქვათ, თუ რა ამაღელვებელ აგმოსფეროს ქმნის დიდ სამამულო ომში გამარჯვების მოახლოებული 30-ე წლისთავი. განვლილი ათწლეულების ამბებმა ცხადყო, რომ ფაშიზზე გამარჯვება, რომლის მოპოვებაში ჩვენმა ქვეყანამ გადამწყვეტი როლი შეასრულა, კვლავაც უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე.

დაიცვა რა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, გათავისუფლა ევროპის ბევრი ქვეყანა ფაშისტური მონობისაგან, საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით დაიცვა მთელი მსოფლიო ცივილიზაციის, დემოკრატიისა და პროგრესის მომავალი.

ფაშიზმის განადგურებამ ხელშემწყობი შესაძლებლობა შეუქმნა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებას, ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სოციალიზმის დამკვიდრებას, საერთაშორისო მუშათა კლასის პოზიციების განმტკიცებას, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობას. და თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტიები, სოციალისტური თანამგზომრობის ქვეყნები, მთელი პროგრესული ძალები მთელ მეცადინეობას ახმარენ იმას, რომ განავითარონ ის უდიდესი პოზიტიური ძვრები, რომლებიც მსოფლიოში მოხდა ჰიტლერული ფაშიზმის, იმპერიალისტური რეაქციის ამ დამკვრელი ძალის განადგურების შედეგად.

ჩვენი ხალხი უდიდეს პატივს სცემს სამამულო ომის მონაწილეებს, ჯარისკაცებს, ოფიცრებსა და მხედარმთავრებს, პარტიზანებსა და იატაკქვეშელებს, ზურგის მშრომელებს, ყველას, ვინც ძალ-ღონისა და სიცოცხლის დაუზოგავად დაიცვა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და პირნათლად შეასრულა თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა, დიადი განმათავისუფლებელი მისია.

აღნიშნავენ რა გამარჯვების 30-ე წლისთავს, საბჭოთა ადამიანებს კიდევ უფრო ღრმად ესმით, რომ მისი სათავეა დიდი ოქტომბრის რევოლუცია, სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უპირატესობა, კომუნისტური იდეოლოგიის — თანამედროვე რევოლუციური ეპოქის მოწინავე იდეოლოგიის უპირატესობა.

უკვე ოცდაათი წელია ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს მშვიდობიანი ცხოვრებით. ეს არის ჩვენი დიადი სამშვიდრო გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შედეგი, ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სწორი და, შორსმჭვრეტელი საგარეო პოლიტიკის, ხალხთა საკეთილდღეოდ. მშვიდობისა და სოციალიზმის პროგრესის საქმის განმტკიცების მიზნით მსოფლიო განვითარების აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის მათი აქტიური ბრძოლის შედეგი.

მთელი მოწინავე კაცობრიობა აღიარებს, თუ რა ფასი ენიჭება სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას, დიდად აფასებს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, პირადად ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდგომარეობის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ საქმიანობას ამ პრობლემის რეალიზაციისათვის. საბჭოთა კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი მეცადინეობით საერთაშორისო ურთიერთობაში მოხდა შემობრუნება „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ.

თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად იცით ის ღონისძიებები, რომლებიც ამ ბოლო ხანს ჩვენმა მხარემ განახორციელა საერთაშორისო ასპარეზზე, რათა კიდევ უფრო გაეღრმავებინა დაძაბულობის შენელება და მისთვის შეუქცევადი ხასიათი მიეცა. მინდა მხოლოდ ისა გავუსვა ხაზი, რომ მიმდინარე წელიც ასევე მდიდარია დიდი საგარეო-პოლიტიკური აქტიებით, რომლებიც მიზნად ისახავს მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას. ყოველგვარი სიძნელის მიუხედავად დასასრულს უანლოოდება უშიშროებისა და თანამშრომლობის სრულიად ევროპის თათბირის მუშაობა. ბევრი ქვეყნის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ თანახმანი არიან გაიმართოს თათბირის მესამე, საბოლოო ეტაპი უმაღლეს დონეზე. თუკი თათბირის მუშაობა დამთავრდება მისი მიზნების შესაბამისად დოკუმენტების მიღებით, უფრო მტკიცე საფუძველი შეექმნება მყარი მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის კონტინენტად ევროპის გადაქცევას და ეს გააჯანსაღებდა მთელ საერთაშორისო ვითარებას.

კვლავაც ყოველ დონეს ვახმართთ, რათა სამართლიანად მოწესრიგდეს ახლო აღმოსავლეთის პრობლემები. საბჭოთა კავშირი განაგრძობს კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსებობის ურთიერთობის შემდგომი განვითარების კურსს, რასაც მოწმობს ვლადიმერ სტოკინი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. ფორდთან, პარიზში საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟისკარ დ'ესტენთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრების შედეგები, ამასწინათ მოსკოვში ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის ვიზიტი და საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოლაპარაკება.

რა თქმა უნდა, ყოველი წარმატება მშვიდობის გამმტკიცებაში მოპოვებულია მტკიცე ბრძოლით რეაქციისა და აგრესიის ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ამ ბოლო ხანს ცდილობენ უფრო აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ დაძაბულობის შენელებას. სავსებით ვითვალისწინებთ რა საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენების მთელ სირთულეს, მოლიანად ოპტიმისტურად ვიფასებთ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის პერსპექტივებს.

ჩვენი ქვეყანა კვლავაც იქნება ხალხებთან, რომლებიც იცავენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იმპერიალისტური ხელყოფისაგან, წმიდათაწმიდა უფლებას იყენებ თავიანთი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი, ესწრაფვიან ახალ, უკეთეს ცხოვრებას.

ახლა, როცა ჩვენს საზოგადოებას მძლავრი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი აქვს და შექმნილია უფრო ხელშემწყობი ხაგარეო პირობები, თქვა შემდეგ ა. პ. კირილენკომ, ყველა შესაძლებლობა გვაქვს კომუნისტური მშენებლობის მთელ ფრონტზე შემდგომი მტკიცე წინსვლისათვის.

მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრება შექმნის მტკიცე ეკონომიურ საფუძველს და ამ საფუძველზე ჩვენი პარტიის XXV ყრილობა განაზღვრავს მომავლის ამოცანებს.

პარტია დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყნის განვითარების პერსპექტიულ პრობლემებს. ამჟამად მუშაობდება მეათე ხუთწლედის გეგმა და გრძელვადიანი გეგმა უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის 1990 წლამდე ჩათვლით. ამ გრძელვადიანი გეგმის ძირითად მიმართულებებს, როგორც სსკ კავშირის 50-ე წლისთავის შესახებ მოხსენებაში აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, განსაზღვრავს „საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანები, რომლებიც დასახულია პარტიის პროგრამასა და მისი უკანასკნელი ყრილობის გადაწყვეტილებებში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების ამოცანები“.

ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ლენინური გზით მიდის, სოციალისტური ნომიური განვითარების [illegible] ლებს ბილმდგომ[illegible] ... ერ ... ...

ᲓᲦᲔᲡ

თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ეტაპი

პროფკავშირულმა კონფერენციამ მუშაობა დაიწყო

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 1 მარტი. (საკდისი). ევროპის პროფკავშირული კონფერენცია საწარმოო გარემოს, შრომის დაცვის, შრომელთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ევროპის პროფკავშირული მოძრაობის ისტორიაში და კონტინენტის მასშტაბით პროფკავშირთა თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ეტაპი გახდება, განაცხადა კონფერენციის გახსნაზე საბჭოთა კავშირის პროფკავშირული დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა.

შეეხო რა ძირითად ფაქტორებს, რომლებიც შესაბამის პირობებს უქმნიან და მოითხოვენ პროფკავშირთა სრულიად ევროპის თანამშრომლობას საერთოდ გარემოსა და საწარმოო გარემოს გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, ა. ნ. შელეპინმა თქვა: უწინარეს ყოვლისა ასეთი ფაქტორებია დადებითი ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში — სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა კონფრონტაციიდან მშვიდობიან თანაარსებობასა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებაზე გადასვლა, დაძაბულობის შენელება, მშვიდობის განმტკიცება, რომელთა მეოხებით გაფართოდა ხელშემწყობი პირობები ევროპის პროფკავშირთა თანამშრომლობისათვისაც.

საბჭოთა დელეგაციის მეთაური დაწვრილებით შეეხო ამას, თუ როგორ წყვეტენ სსრ კავშირის პროფკავშირები გარემოსა და საწარმოო გარემოს გაუმჯობესების პრობლემებს.

ჩვენი მიღწევები, განაცხადა მან, მიგვაჩნია წვლილად მუშათა კლასის საერთო საქმეში, იმის კონკრეტულ მაგალითად, რომელსაც შეიძლება დაეყრდნონ სხვა ქვეყნების პროფკავშირები და მშრომელები მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის საქმიანობაში.

ა. ნ. შელეპინმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირთა შორის ინფორმაციის გაცვლა და მუშაობის გამოცდილების გაზიარება ძალზე სასარგებლოა და თქვა: ჩვენი აზრით, უფრო რეგულარულად უნდა იმართებოდეს ევროპის პროფკავშირული კონფერენციები, სიმპოზიუმები, ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები. ჩვენ, განაცხადა მან, აგრეთვე შემოგვაქვს წინადადება, რომ მოგვაარდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის, შრომის მსოფლიო კონფედერაციისა და ევროპის პროფკავშირთა კონფედერაციის თანამშრომლობა ამ საკითხებში.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 1 მარტი. (საკდისი). აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინგლისის 1975-1977 წლების საბთავრობათშორისო შეთანხმებას მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში ურთიერთობის შესახებ.

საბჭოთა კავშირისა და ინგლისის დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად დადებული შეთანხმება პირველი დოკუმენტია, რომელსაც ხელი მოაწერეს ამის წინათ შოსკოვში საბჭოთა კავშირ-ინგლისს უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ. იგი ითვალისწინებს ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას. მიღწეული იყო შეთანხმება მეცნიერთა, მწერალთა, მსახიობთა დელეგაციების, ახალგაზრდული, სპორტული და ტურისტული ჯგუფების გაცვლის გაფართოების შესახებ. გაიმართება საბჭოთა და ინგლისური კინოს კვირეულები, სპმხატვრო გამოფენების გაცვლა.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ნ. მ. ლუნკოვმა და ინგლისის საგარეო და ერთა თანამშრომლობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა რიო ჰეტერსლიმ.

„უ-2“ თვითმფრინავის სადაზვერვო ფრენა

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 1 მარტი. (საკდისი). კვიპროსში ინგლისის სამხედრო ბაზაში განლაგებულ ამერიკის „უ-2“ სადაზვერვო თვითმფრინავებს იყენებენ სადაზვერვო ფრენისათვის ახლო აღმოსავლეთში ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე. ეს, როგორც „ასოშიეიტედ პრესის“ საგანგებო იუწყება, აღიარა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ კვიპროსში.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 1 მარტი. (საკდისი). გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“, განმარტავს რა ამერიკის „უ-2“ თვითმფრინავების სადაზვერვო ფრენის მონაცემებს, ხაზს უსვამს, რომ ამჟამად ეს თვითმფრინავები გასცდნენ ცეცხლის შეწყვეტის ხაზისადმი უბრალო დაკვირვების ფარგლებს და მიზნად ისახავენ ინფორმაციის შეგროვებას საერთოდ ამ რაიონში სამხედრო აქტიურობის შესახებ.

როგორც ნიკოზიიდან იუწყებიან, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები იყენებენ, კერძოდ, ინგლისის აერო ტერიტორის სამხედრო ბაზას, რომელიც კვიპროსის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს.

ᲛᲝᲘᲢᲐᲪᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 1 მარტი. (საკდისი). დასავლეთ ბერლინის პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის მოტაცებასთან დაკავშირებით დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ გერჰარდ დანელიუსმა გააკეთა განცხადება, რომელშიც დაგმო პოლიტიკური ტერორი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ხელს უწყობს პოლიტიკურ ვნებათა ღელვის გაღვივებას და შეიძლება გავლენა მოახდინოს არჩევნებზე დასავლეთ ბერლინში.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერი პ. ლორენცი მოიტაცეს დასავლეთ ბერლინის საქალაქო და რაიონული კრებების დეპუტატთა არჩევნებამდე სამი დღით ადრე.

როგორც ადგილობრივი ხელისუფალნი იუწყებიან, ამ საქმეში გარეული არიან ქალაქში მოქმედი ერთ-ერთი ანარქისტული დაჯგუფების წევრები.

ᲜᲔᲞᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲒᲐ

ᲙᲐᲢᲛᲐᲜᲓᲣ, (საკდისი). ნეპალის მეფემ ბირენდრამ წამოაყენა წინადადება „მშვიდობის ზონად“ გამოაცხადოს თავისი ქვეყანა.

გამოვიდა რა დარბაზობაზე მრავალი სტუმრის პატივსაცემად, რომლებიც მეფის კურთხევის ცერემონიას ესწრებოდნენ, მან თქვა: ჩვენ მშვიდობისმოყვარე ხალხი ვართ, ჩვენ მშვიდობას ვესწრაფვით არა დანარჩენი მსოფლიოსაგან განცალკევებით, არამედ მასთან თანამეგობრობით. ჩვენ ვახორციელებთ მიუხმრობლობის პოლიტიკას, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს განამტკიცებს მშვიდობის შანსს, რაც საჭიროა ჩვენი უშიშროებისათვის, დამოუკიდებლობისა და განვითარებისათვის. მე მინდა წამოვაყენო წინადადება, რომ გამოვაცხადოთ ჩემი ქვეყანა, ნეპალი მშვიდობის ზონად. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ მაშინ შეეძლებთ შეავქმნათ პოლიტიკურად სტაბილური ნეპალი.

ᲪᲠᲣᲛᲝᲬᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲜᲘ

რიო-დე-ჟანეიროს წიგნის მაღაზიების თაროებზე გამოჩნდა პორტუგალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარსელუ კაეტანუს მემუარები, რომლებიც გადმოუშვა ბრაზილიის გამომცემლობა „რეკორდმა“.

რა აღწერა მსოფლიოს ამ უხეირო პოლიტიკოსმა, რომელიც ქვეყნიდან გაიძევეს მას შემდეგ, რაც პორტუგალიის ხალხმა 1974 წლის აპრილში ბოლო მოუღო სიძულველ რეჟიმს?

ეს ისტორიული მოვლენა მ. კაეტანუმ შეაფასა როგორც შეიარაღებული ძალების ძმაწყრაფება მოეხდინათ „ძალაუფლების უზურპაციისა“, რათა ამით პირადად მისთვის, მ. კაეტანუსათვის, ხელი შეეშალათ ყოფილიყო სრულუფლებიანი „ხელმძღვანელი ერისა“. მან არ დაიშურა დეტალები და მოუთხრო თავის გეგმაზე, რომელის მიზანი იყო ის, რომ არ დაეშვა პორტუგალიაში „ლიბერალიზაციის“ პროცესი, რომდენადაც „სოციალისტური იდეების გავრცელება შეიძლებოდა ქვეყნის მომავლისათვის სერიოზული საფრთხე გამხდარიყო“.

ისევე როგორც სოციალისტური იდეები კაეტანუსათვის საფრთხობელა იყო სამინაო პოლიტიკაში, მას აშინებდა კოლონიებისათვის თავისუფლების მინიჭებაც, მაშინდელი მთავრობის პოლიტიკას კოლონიურ საკითხში დიდი ადგილი უჭირავს მ. კაეტანუს მემუარებში. ავტორს მოჰყავს ამონაწერები თავისი ადრინდელი თხზულებიდან „ზღვისგაღმა სამყარო“, რომელიც მართლა შუქსა ჰფენს მთავრობის ნამდვილ პოლიტიკას „ზღვისგაღმა ტერიტორიებში“. აფრიკის ერთ-ერთი უფლაზე დიდი პრობლემა, წერდა მ. კაეტანუ, გამოწვეულია ამ კონტინენტზე მოსახლეობის მცირე სიხშირით. პორტუგალიის კოლონიური პოლიტიკა, დემაგოგიურად ამტკიცებდა იგი, მიზნად ისახავდა „ხელი შეეწყო აფრიკის განვითარებისათვის“. მისი სიტყვებით, კოლონიური ომის მსჯელობაში, მართალია, ხდებოდა „იქსკეფსენი“. „იქსკეფსენს“ უწოდებს იგი ლისაბონელ კოლონიზატორთა ანგოლის პატრიოტებთან სისხლისმღერელ გასწორებებს, ამიტომაც კაბრალის მხეცურად მოკვლას გვინეა-ბისაუში და მასობრივ ჟლეტას მოზამბიკის სოფელ ვარიაბეში.

სათანადოდ რომ შევაფასოთ ამ ფაშისტი ბნელეთისმოციქულის „ნაშრომი“, საკმარისია ვთქვათ, რომ თავის თავს იგი უწოდებს „თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ჭაშებულს“.

ეი რამდენმე შტრიხი, რომლებიც გვინახავს ამ „წამებულის“ ნაძდვილ სახეს.

1968 წელს დიქტატორ სალაზარის სიკვდილის შემდეგ ბევრნი იმედოვნებდნენ, რომ პორტუგალიაში ცვლილებები მოხდებოდა. მაგრამ კაეტანუს ერთგულებამ ძველი პოლიტიკური კურსისადმი ბალე გაფანტა ყოველი იმედი. პორტუგალიაში კვლავ არ იყო ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებანი, აზობლენენ თავისუფალი აზროვნების ყოველ გამოვლინებას, კანონგარეშე რჩებოდა ყველა ოპოზიციური პარტია. მ. კაეტანუს მთავრობის „ახალი კურსი“ იმით განისაზღვრებოდა, რომ მან ხელუსლებელად დატოვა მმართველობის მანქანა, ხოლო შეცვალა მისი ზოგიერთი დეტალი. ამ „რეფორმამ“ გამოიწვია იმის საჭიროება, რომ გამოეყოთ მნიშვნელოვანი სახსრები მრავალი საპყრობილის „რეკონსტრუქციისათვის“ და აეშენებინათ ახალი საკონცენტრაციო ბანაკები.

შემთხვევითი არ იყო, რომ პორტუგალიური გაზეთი „რეპუბლიკა“ წერდა: „ამ კაცის ხასიათის ყველაზე მკაფიო ნიშანია ფარისევლობა. მ. კაეტანუს მხოლოდ მოხსენიება ზიზღს იწვევს პატიოსან პორტუგალიელებში“. „მოწმის ჩვენებანი“ (ასე უწოდა თავის მემუარებს მ. კაეტანუმ) ამრიგად გახდნენ ცრუმოწმის ჩვენებად, ე. ი. თვით ექსდიქტატორის წინააღმდეგ საბრალდებო აქტად.

(საკდისი)

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 1 მარტი. (საკდისი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა გადადო ვიზიტი ჩინეთში, რომელიც მარტს დამლევისათვის იყო დანიშული.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა კანცლერის ამ გადაწყვეტილების მიზეზად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დასახელა.

ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲠᲝᲛᲘ. 1975 წლის დასაწყისში იტალიის მოსახლეობამ 55.617.000 კაცი შეადგინა. ქვეყნის მოსახლეობა ერთი წლის განძილზე 459.000 კაცით გაიზარდა.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქის — კაიროს მოსახლეობა ამჟამად 8 მილიონ 405 ათას კაცს შეადგენს. უკანასკნელი ოთხი წლის განძილზე კაიროს მოსახლეობა 1 მილიონ 185 ათასი კაცით გაიზარდა.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲡᲐᲠᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, (საკდისი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ჰოლიგუდში (ფლორიდის შტატი) გამართულ პრეს-კონფერენციაზე მხარი დაუჭირა იმას, რომ ამერიკამ დამატებითი სამხედრო დახმარება გაუწიოს სამხრეთ ვიეტნამსა და კამბოჯას. პრეზიდენტის თქმით, ლონ ნოლის რეჟიმი ახლა „მეტისმეტად კრიზისულ მდგომარეობაშია“.

ჯ. ფორდმა თქვა, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ინდოჩინეთის მიმართ, და დასძინა შეერთებული შტატები საგარეო პოლიტიკაში იმით კი არ იხელმძღვანელებს, რასაც სხვა ქვეყნები ამბობენ, არამედ საკუთარი ინტერესებითო.

ᲒᲐᲛᲝᲑᲔᲜ ᲙᲔᲜᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 28 თებერვალი. (საკდისი). საზოგადოებრივობისა და კონგრესის პროტესტის მიუხედავად, პენტაგონი ყოველ დღეს ხმარობს ლონ-ნოლის რეჟიმის გადასარჩენად კამბოჯაში. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მიერ დაფრახტული ამერიკის ორი სამოქალაქო ავიაკომპანიის თვითმფრინავები იარაღსა და სურსათს ეზიდებიან ფნომპენში. პრესის ცნობების თანახმად, ერთ-ერთ მ ავიაკომპანიას ყოველდღიურად გადააქვს იქ ტაილანდიდან 1.000 ტონაზე მეტი სამხარი მასალა. დახმარებას უწევენ აგრეთვე საგონ-ბნომპენის „საჰაერო ხიდით“.

ᲯᲐᲜᲝᲜᲘ, 28 თებერვალი. (საკდისი). აქ გამოქვეყნდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ შეერთებული შტატების მიერ საიგონ-ბნომპენის საჰაერო ხიდის შექმნა მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად იყენებს სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიას ბაზად კამბოჯის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲑᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲚᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 1 მარტი. (საკდისი). ქალაქ ნოვი-სადის საოლქო სასამართლომ იუგოსლავიის მოქალაქეს მ. მიხაილოვს მიუსაჯა შვიდი წლის პატიმრობა მკაცრი რეჟიმის საპატიმროში. იგი დამნაშავედ ცნეს ამასთან დაკავშირებით, რომ ეწეოდა ტერულ პროპაგანდას იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ. სასამართლომ მ. მიხაილოვს პატიმრობიდან გამოსვლის შემდეგ თხუთ წლით აუკრძალა პრესაში და საზოგადოებრივ ფორუმებზე გამოსვლა.

ოთხი დღის ღია პროცესის დროს, როგორც ტანიუგის საგენტო იუწყება, სავსებით დადასტურდა, რომ მ. მიხაილოვი საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში ბოროტი განზრახვით არასწორად აშუქებდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას. იგი, როგორც საამართლომ დაადგინა, ეწეოდა მტრულ პროპაგანდას იუგოსლავიის წინააღმდეგ გარედან დახმარებით.

ᲐᲜᲒᲝᲚᲐ:

დამოუკიდებლობის გზით

ᲐᲜᲒᲝᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲡ ᲐᲮ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲑᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ. ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. მთავრობაში შევიდნენ ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის, ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის, ანგოლის სრული დამოუკიდებლობისათვის ეროვნული კავშირისა და პორტუგალიის სამ-სამი წარმომადგენელი. მთავრობას მეთაურობს პრეზიდენტის საბჭო, რომელშიც შედის თვითეული განმათავისუფლებელი მოძრაობის თითო წარმომადგენელი.

ოქტომბერში ქვეყანაში მოეწყობა დამფუძნებელი კრების არჩევნები, ხოლო 11 ნოემბერს ანგოლა, რომელიც დაახლოებით ხუთ საუკუნეს იყო კოლონიზატორთა უღელქვეშ, სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება.

განსაზღვრა რა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის მოქმედების პროგრამა ახლანდელ ეტაპზე, მისმა თავმჯდომარემ აგოსტინიო ნეტმა განაცხადა, რომ ანგოლელი ხალხის ეს მებრძოლი ავანგარდი, რომელსაც ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს კოლონიალიზმისაგან ქვეყნის განთავისუფლებაში, განაგრძობს ბრძოლას ანგოლის სრული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, მისი სოციალური სტრუქტურის შეცვლისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციისათვის. მან განსაკუთრებით გააფრთხილა ხალხი შინაური და გარეშე რეაქციის ძალების ძირგამომთხრელი საქმიანობის საფრთხის გამო, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ ქვეყანაში რასობრივი ჩაგვრის სისტემა, არ დაუშვან, რომ ხალვის ხელში გადავიდეს ბუნებრივი რესურსები, რომლებსაც კონტროლს უწევენ საერთაშორისო მონოპოლიები.

მემარჯვენე ექსტრემისტები და სეპარატისტები მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა მარშანდელი ცდა — შექმნათ ანგოლაში სახელმწიფო როდეზიის ნიმუშისამებრ, ესე იგი დაემყარებინათ იქ თეთრკანიანი უმცირესობის დიქტატურა, ახალი ადმინისტრაციის ღონისძიებათა საბოტაჟის გზას ადგებიან.

ამასთან ისინი არ ერიდებიან შეიარაღებულ პროვოკაციებს. თებერვლის დამდეგს მათ ლუანდაში პროვოკაციულად გამოიწვიეს რასობრივი შეტაკებები, რომელთა შედეგად ბევრი დაიხოცა და დაიჭრა. სამი განმათავისუფლებელი მოძრაობის შეიარაღებულმა რაზმებმა და პორტუგალიის არმიის ქვეგანაყოფებმა აღადგინეს წესრიგი ქალაქში.

გარდამავალი მთავრობის შექმნა ანგოლაში მოწმობს, რომ აფრიკაში პორტუგალიის ყოფილი სამფლობელოების დეკოლონიზაციის პროცესი, რომელიც თავისუფლებისათვის მათი ხალხების წარმატებით ბრძოლის, აგრეთვე თვით პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შედეგია, დასასრულს უახლოდება.

ᲨᲔᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ: ᲚᲣᲐᲜᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲨᲘᲠᲐᲓ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲯᲐᲠᲘᲡᲪᲐᲪᲔᲑᲘ; ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ — ᲧᲕᲐᲜᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ — ᲛᲔᲝᲠᲔ; ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲞᲔᲠᲣᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ

ᲚᲘᲛᲐ, 28 თებერვალი. (საკდისი). პერუს მთავრობამ გამოაქვეყნა პოლიტიკური დეკლარაცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია პერუს რევოლუციის იდეოლოგიური პრინციპები და ძირითადი მიზნები. „პერუს რევოლუცია, — ნათქვამია დეკლარაციაში, — ავტონომიური პროცესია, რომელიც ხორციელდება იმისათვის, რომ შეცვალოს სახელმწიფო სისტემის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ხასიათი და ბოლო მოეღოს იქ არსებულ ჩამორჩენილ, კაპიტალისტურ, ოლიგარქიულ და იმპერიალისტურ ინტერესებზე დამოკიდებულ საზოგადოებას“. პერუს რევოლუცია, აღნიშნულია შემდეგ, ეყრდნობა რევოლუციური ჰუმანიზმის პრინციპებს. იგი მტკიცედ დგას ანტიიმპერიალისტურ პოზიციებზე, თანამიმდევრულად უჭერს მხარს ხალხთა ბრძოლას ყოველგვარი ფორმის იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და უცხოეთისაგან ჩაგვრის წინააღმდეგ, ადასტურებს თავისი პოლიტიკური კონცეფციების სრულ დამოუკიდებლობას და უარყოფს უცხოეთის ჩარევის ყოველგვარ ცდას.

ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

იძულებითი აღიარება

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკდისი). უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში იმიგრირებული ებრაული ეროვნების ყოფილ საბჭოთა მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა დიდ გაჭირვებას განიცდის. ეს ნათქვამია ისრაელის საიმიგრაციო სამსახურის მოხსენებაში, რომელიც ტელ-ავივში გამოქვეყნდა.

400 იმიგრანტისათვის ჩამორთმეული ინტერვიუს საფუძველზე მოხსენების ავტორებს გამოაქვთ დასკვნა, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირთა 90 პროცენტს, რომლებიც სიონისტური პროპაგანდის ანკეტს წამოეგნენ და სსრ კავშირი დატოვეს, ვერ უშოვიათ სამუშაო სპეციალობის მიხედვით და კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში ცხოვრებასთან შეგუების ძნელად გადასაწყვეტ პრობლემას აწყდებიან.

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში უმუშევრობის მაღალი დონის გამო იმიგრანტებს ძალიან უჭირთ რაიმე სამუშაოს შოვნა და ამის შედეგად მათი ცხოვრების დონეც მეტისმეტად დაბალია, და ხაზს უსვამენ: „ბევრი იმიგრანტის აზრით, მათ შეცდომა დაუშვეს, როცა საბჭოთა კავშირი დატოვეს“.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲓᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲚᲐᲜ...

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ნოიბრანდენბურგში დამთავრდა სამეცნიერო სესია. მიკრობიოლოგიისა და მიკრობიოლოგიური მრეწველობის საკითხებზე, რომელიც მოიწვიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიებმა.

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მოლაპარაკებაზე საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დელეგაციების მორიგი შეხვედრა.

ᲑᲝᲜᲜᲘ. ზოლინგენში გაიმართა გერმანიის მშვიდობის საზოგადოების — საძმადრო სამსახურის მოწინააღმდეგეთა ინტერნაციონალის კონფერენციაი, რომლის დელეგატებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მხიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კოსტრუქციულ წვლილს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეორე ეტაპის წარმატებით დამთავრებასა და უმაღლეს დონეზე მისი საბოლოო ფაზის მოწყობაში.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა მინაგან საკმეთა სამინისტროს გახუცხადა პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ კიპროსის ლონდონის შტაბ-ბინაში დადგეს მისაყურადებელი მოწყობილობა.

ᲐᲗᲔᲜᲘ. საბერძნეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ბეჭდვითი სიტყვის კანონის გაუქმების შესახებ, რომელიც ქვეყანაში შემოიღეს დიქტატურის წლებში. ეს კანონი ძეტად ზღუდავდა პრესის თავისუფლებას.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ნევადის შტატის საცდელ პოლიგონზე განახორციელეს მიწისქვეშა ატომური აფეთქება.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. კამბოჯის საელჩოს მეთაურმა ნოროდომ სიანუკმა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერს მ. მენსფილდს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღნიშნავს, რომ ლონ ნოლის რეჟიმი განწირულია და მას ვერ იხსნის ამერიკის შეერთებული შტატების ვერავითარი სამხედრო დახმარება.

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის მთავრობას აქვს ინფორმაცია, რომ „ნაგისა და მიზოს ამბოხებულთა იატაკქვეშა რაზმებმა“ გადაკეთეს ინდოეთის საზღვარი და ჩინეთში გადავიდნენ, რათა ჩინეთის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ ბანაკებში გაიარონ სამხედრო მომზადება.

(საკდისი, 1 მარტი).

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

მექიკო: ᲮᲣᲜᲯᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲡᲙᲐᲛᲯᲔ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲛᲔᲥᲘᲙᲝᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲠᲘᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲘᲒᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲛᲔᲥᲘᲙᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲛᲘᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ. ᲘᲡ

საქართველოს ამა-ბარეში

ბამის მხარდამხარ

ლენგეხი. (საკ. კორ.). „ბამი ჩვენთან ახლოს არის!“ — ამ დევიზით ჩატარდა მოსწავლე ახალგაზრდობის შეერება პიონერთა რაიონულ სახლში. შეერების მონაწილეებმა მხურვალედ მოიწონეს ქუთაისელ პიონერთა თოოსნობა რკინიგზის ყოველ ახალ კილომეტრს გაჰყვნენ პიონერული რუკით, რომლებზეც აღინიშნება პიონერული რაზმის მონაწილეობა შემოქმედებითის შრომასა და სწავლაში. პიონერებმა სიმამაცის ტრასის ქართველ მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელს ვ. რუხაიას გაუგზავნეს საჩუქრები და წერილი.

ბამის მხარდამხარ ყოფნის დღემ პიონერ-მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ᲧᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

მოწინავე სანატორიუმებს

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). სანატორიუმი „აჭარა“ (მთავარი ექიმი ი. გოგავა) ჯანმრთელობის ერთ-ერთი მოწინავე კერაა, სადაც მკურნალობის მრავალი სიახლე დაინერგა. სანატორიუმის გულისხმიერმა კოლექტივმა ჯერ კიდევ 1963 წელს დაიმახსოვრა კომუნისტური შრომის სპეციალური წოდება და მას შემდეგ დირსეულად ინარჩუნებს ამ სახელს. მის წარმატებებზე ისიც მეტყველებს, რომ 119 თანამშრომელი კომუნისტური შრომის დამკვრეულია, ხოლო 27 კაცი დაჯილდოებულია „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის“ ნიშნით.

ამ დღეებში კიდევ ერთი სასახარულო ცნობა მიიღეს. სანატორიუმის კოლექტივი 1974 წლის მაჩვენებლების მიხედვით დაჯილდოებულია მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ხარისხის დიპლომით.

აღსანიშნავია, რომ სანატორიუმმა განვლილ წლებში სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული 6 გარდამავალი წითელი დროშა სამუდამოდ შეინარჩუნა.

ᲐᲦᲬᲠᲓᲐᲡ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ

თელავი. (საკ. კორ.). ქალთა რაიონულმა საბჭომ (თავმჯდომარე დ. ბოჭორიძე) სოფელ ფშავლის საშუალო სკოლაში მოაწყო თეორიული კონფერენცია თემაზე „მაკარენკოს პედაგოგიური შეხედულებანი“. კონფერენციის ესწრებოდნენ პედაგოგები, მშობლები და მეათე კლასების მოსწავლეები. მოხსენებით გამოვიდნენ მასწავლებლები დ. ქევნიშვილი და ნ. კუპანაძე.

სხდომათა დარბაზში მოწყობილი იყო მასწავლებელ ნ. ხიუსინაძისა და გ. სივსივაძის ნაშუშერების (ნაქარგები, ნაქსოვები, ნაკერები, ფარდაგები და სხვ.) საინტერესო გამოფენა.

ᲑᲐᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲚᲔᲜᲒᲔᲮᲘ. (საკ. კორ.). „ბამი ჩვენთან ახლოს არის!“ — ამ დევიზით ჩატარდა მოსწავლე ახალგაზრდობის შეერება პიონერთა რაიონულ სახლში. შეერების მონაწილეებმა მხურვალედ მოიწონეს ქუთაისელ პიონერთა თოოსნობა რკინიგზის ყოველ ახალ კილომეტრს გაჰყვნენ პიონერული რუკით, რომლებზეც აღინიშნება პიონერული რაზმის მონაწილეობა შემოქმედებითის შრომასა და სწავლაში. პიონერებმა სიმამაცის ტრასის ქართველ მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელს ვ. რუხაიას გაუგზავნეს საჩუქრები და წერილი.

ბამის მხარდამხარ ყოფნის დღემ პიონერ-მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲖᲔ

ᲖᲕᲐᲕᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ...

ᲘᲡ მოხდა კავკასიონის ქედის თოვლიან-ყინულოვან მწვეროვლებზე. თებერვლის ერთ დღეს მამისონის უღელტეხილზე მეტეოსადგურის ტერიტორიაზე ზვავმა გაიტაცა სამი მეტეოროლოგი — სადგურის უფროსი ამბედ როზვანოვი, დამკვირვებლები სლავა კაზიევი და სერგეი ივანკინი. სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად პარტიის ონის რაიკომისა და რაიხაბჭოს აღმასკომის მუშაკებმა დაუყოვნებლივ ძიღეს ზომები — სასწრაფოდ დაუკავშირდნენ შინაგან საქმეთა განყოფილებას, ფიზკულტურის და სპორტის რაიონულ კომიტეტს. შეიქმნა გამოცდილი მთამსვლელების მაშველი ჯგუფი, რომელიც ტრაქტორით გაემგზავრა მეტეოსადგურისკენ, იგი კი ზღვის დონიდან 2.000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და ონიდან 53 კილომეტრით არის დაშორებული. ჯგუფმა გაიარა 25 კილომეტრი, მაგრამ დიდი თოვლისა და ქარბუქის, ამინდის ცუდი პირობების გამო იძულებული გახდა ღამის პირველ საათზე უკან დაბრუნებულიყო. ამავე დღეს სოფელ გლოლაში შეიქმნა მაშველი ჯგუფი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის — მთამსვლელ მ. ბიკაშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ ეს ჯგუფიც უამინდობის გამო ვერ გასცდა კურორტ შოვს. სოფელ გლოლასა და ონს შორის დაწესდა სადღეღამისო მორიგეობა. ხოლო გზის გასაწმენდად გაიგზავნა ტრაქტორები. ამასობაში თბილისიდან ცნობა მიიღეს, რომ მეორე დღეს 12 საათისათვის ვერტმფრინავი მოფრინდებოდა ონში და გადაიყვანდა მაშველ ჯგუფს. მაგრამ ცუდი ამინდის გამო ვერტმფრინავმა ორ დღეს ვერ შეძლო ონში დაშვება. როგორც იქნა, ვერტმფრინავი მეტეოსადგურის მიდამოებისა და მომხდარი სტიქიური უბედურების ადგილების დასაზვერად გაფრინდა. მას გაჰყვა მაშველი რაზმის წევრი — მთამსვლელი, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ვ. საგანელიძე. მეტეოსადგურიდან 20 მეტრის დაშორებით მფრინავმა ურთულეს პირობებში შეძლო ძირს დაშვება. ვერტმფრინავმა ონში წამოიყვანა გადარჩენილი უფროსი მეტეოროლოგი ა. როზვანოვი.

მისი გადმოცემით ეს შემზარავი ამბავი ასე მომხდარა: 11 თებერვალს დილით 9 საათსა და 25 წუთზე მეტეოროლოგები ა. როზვანოვი, ს. კაზიევი და ს. ივანკინი თოვლის სიმაღლის გასაზომად და ტემპერატურის საზომი ხელსაწყოების შესამოწმებლად მამისონის უღელტეხილის დასავლეთ მხარეს წასულან, ხოლო დამკვირვებელი ბ. კულიპანოვი სადგურში დარჩენილა. გაიარეს თუ არა მცირე მანძილი, მთას თოვლის ზვავი მოსწყვდა, რომელმაც სამივე ქვეშ მოიყოლია. ხმაურზე მეტეოსადგურიდან გამოიხედა ბ. კულიპანოვმა, მაგრამ ბურუსის გამო ვერაფერი გაარჩია.

გადაწყვეტილება თუ არა, კულიპანოვი დაეშვა შემთხვევის ადგილზე. ერთგან შეამჩნია თოვლიდან ამოწყვდილი ადამიანის ხელი, ამოთხარა თოვლი და ამოიყვანა კაზიევი, შემდეგ კი ორივემ გაჭირვებით იპოვნეს და თოვლიდან ამოიყვანეს როზვანოვი. შეუდგნენ ივანკინის ძებნას, მაგრამ ამაოდ, იგი თოვლში ღრმად ყოფილა ჩამარხული.

და როცა მოხერხდა ვერტმფრინით მაშველი ჯგუფის გაგზავნა შემთხვევის ადგილზე, მათ მწვერვალზე შეუერთდნენ მეტეოსადგურის გადარჩენილი თანამშრომლები — როზვანოვი და კაზიევი. ორგვლივ ყოველივე გადათეთრებულიყო. ჯგუფი მკვეთრად დაქანებული ფერდობებით გაემართა იმ მიდამოებისკენ, სადაც თოვლში ჩამარხული ივანკინი ეგულებოდათ. და როგორც იქნა მისი ცხედარი იპოვნეს. ადამიანები მკერდამდე ეფლობოდნენ თოვლში, ყოველი მეტრის გავლა კილომეტრს უდრიდა. ქარბუქი სახეზე აყრიდა თოვლს, ყველაზე უფრო გაჭირდა 250 მეტრი შეუღული კედლის დაძლევა. მაგრამ ბუნების სტიქიასთან მამაცი ადამიანების ბრძოლამ თავიხი გაიტანა — ცხედარი ჯერ მეტეოსადგურთან გადაასვენეს, შემდეგ კი ონში.

სტიქიის გადარჩენილი სამეული კი თავის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას განაგრძობს მაღალ მწვერვალზე...

ნ. ᲓᲣᲨᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ“ № 1

ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲓᲐ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიურ ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ

Შ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘ — ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲔ

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲬᲕᲘᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲘ

ᲓᲐᲓᲒᲐ გაზაფხულის პირველი თვე მარტი, როგორი ამინდია მოსალოდნელი?

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 7-8, მთიან რაიონებში 3-6 გრადუსი სითბო, მაღალმთიან რაიონებში ნული-3 გრადუსი ყინვა, სანაპირო რაიონებში იქნება ნორმაზე დაბალი ერთ გრადუსამდე. დანარჩენ რაიონებში ნორმის ფარგლებში.

ნალექების თვიური ჯამი სანაპირო და მასთან ახლო მდებარე რაიონებში მოსალოდნელია ნორმის ფარგლებში, დანარჩენ რაიონებში ნორმაზე ნაკლები, ალაგ-ალაგ ნორმასთან ახლოს.

1-10 მარტი — ცივადაა მოღრუბლულობა დეკადის დასაწყისსა და ბოლოს უმეტესად უნალექოდ, დანარჩენ ნაწილში დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი. ტემპერატურა ღამით ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებსა და ზამორის საძოვრებზე ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 2 გრადუსი ყინვა. 3 გრადუსი სითბო. დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

11-20 მარტი — დეკადის პირველ ნახევარში უმეტესად უნალექოდ, მეორე ნახევარში დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი. ტემპერატურა ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 11-16 გრადუსი სითბო.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 3-7, მთიან რაიონებში ნული-3 გრადუსი სითბო. მაღალმთიან რაიონებში 1-3 გრადუსი ყინვა, რაც იქნება მრავალწლიური ნორმის ფარგლებში.

ნალექების თვიური ჯამი კახეთში იქნება ნორმაზე მეტი, დანარჩენ რაიონებში კი ნორმის ფარგლებში, ალაგ-ალაგ ნორმაზე ნაკლები.

1-10 მარტი — დეკადის დასაწყისში და ბოლოს უმეტესად უნალექოდ, დანარჩენ დროებში დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი. ტემპერატურა ღამით ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებსა და ზამორის საძოვრებზე ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 2 გრადუსი ყინვა. 3 გრადუსი სითბო. დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

11-20 მარტი — დეკადის პირველ ნახევარში უმეტესად უნალექოდ, მეორე ნახევარში დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი. ტემპერატურა ღამით ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებსა და ზამორის საძოვრებზე დეკადის შუა ნაწილში ნული — 5 გრადუსი ყინვა, დანარჩენ დროს 2 გრადუსი ყინვა, 3 გრადუსი სითბო.

21-31 მარტი — დეკადის პირველ ნახევარში უმეტესად უნალექოდ, მეორე ნახევარში დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი. ტემპერატურა ღამით 2-7, დღისით 13-18 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 4-9, დღისით 11-16 გრადუსი სითბო.

ᲓᲔᲙᲐᲓᲘᲡ საშუალო ტემპერატურა ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 11-16 გრადუსი სითბო.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 3-7, მთიან რაიონებში ნული-3 გრადუსი სითბო. მაღალმთიან რაიონებში 1-3 გრადუსი ყინვა, რაც იქნება მრავალწლიური ნორმის ფარგლებში.

ნალექების თვიური ჯამი კახეთში იქნება ნორმაზე მეტი, დანარჩენ რაიონებში კი ნორმის ფარგლებში, ალაგ-ალაგ ნორმაზე ნაკლები.

1-10 მარტი — დეკადის დასაწყისში და ბოლოს უმეტესად უნალექოდ, დანარჩენ დროებში დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი. ტემპერატურა ღამით ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებსა და ზამორის საძოვრებზე ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 2 გრადუსი ყინვა. 3 გრადუსი სითბო. დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

11-20 მარტი — დეკადის პირველ ნახევარში უმეტესად უნალექოდ, მეორე ნახევარში დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი. ტემპერატურა ღამით ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებსა და ზამორის საძოვრებზე დეკადის შუა ნაწილში ნული — 5 გრადუსი ყინვა, დანარჩენ დროს 2 გრადუსი ყინვა, 3 გრადუსი სითბო.

21-31 მარტი — დეკადის პირველ ნახევარში უმეტესად უნალექოდ, მეორე ნახევარში დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი. ტემპერატურა ღამით 4-9, დღისით 15-20 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში

ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲗ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲣᲔᲚᲘ

ᲓᲦᲔᲡ ტაშკენტში იწყება ჭაბუკთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში გამოდის 8 ნაკრები — ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, პოლონეთის, სსრ კავშირი — I (პირველი ჯგუფი) და გდრ-ის, უნგრეთის, სსრ კავშირი — II (და უზბეკეთის (მეორე ჯგუფი). ჯგუფებში გამარჯვებულნი შეხვდებიან ფინალში, ხოლო დანარჩენი ადგილების გამოსარკვევად ერთმანეთს შეხვდებიან ჯგუფებში შესაბამის ადგილებზე გამოსული გუნდები.

ტაშკენტის ტურნირს საბჭოთა ფეხბურთელებისათვის გენერალური რეპეტიციის მნიშვნელობა აქვს უეფა-ს თასზე შერჩევითი მატჩების წინ.

ᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ „ჩეპელთან“ დამარცხების შემდეგ მოსკოვის არმიელებმა რევანში აიღეს ბუდაპეშტში სახელგანთქმულ „ჰონვედის“ კლუბთან — 2:1. ბურთები გაიტანეს დოროფეევმა (პენალტით) დ. ანდრიუშჩენკომ.

ვოროშილოვგრადის „ზარიამ“, რომელიც ამჟამად ბულგარეთში იმყოფება, სამი მატჩი ჩაატარა. ვოროშილოვგრადელებმა მოუგეს პოლონეთის „პოლონიას“ (ვარშავა) — 2:0, რომელიც ადრეთვე ტურნეს მართავს აქ, ბულგარეთის „სტრუმას“ — 5:1 და ფრედ ითამაშეს ქალაქ პეტრიჩის „ბესელიცასთან“ — 0:0.

თავის მხრივ ჩვენს ქვეყანაში იმყოფება ბულგარეთის „ჩერნომორეცი“ (ბურგასი). სტუმრებმა წაგებეს კრასნოდარში „ყუბანთან“ — 2:4 და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა სოჭში ხარკოვის „მეტალისტთან“ — 1:1.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, 1974 წლის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის № 1 ფეხბურთელად დასახელებული ია კიევის „დინამოს“ თავდასხმელი ოლეგ ბლოხინი.

ეი ვინ არიან გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები სხვა ქვეყნებში: იუგოსლავია — ი. კატალინსკი („ცელეზნიჩარი“), ჩეხოსლოვაკია — ი. პივარნიკი („სლოვანი“), ბელგია — ბ. ვან ჰიმსტი („ანდერლეტი“), გფრ — ფ. ბეკენბაუერი („ბავარია“), პოლონეთი — გ. ლატო („სტალი“), რუმინეთი — კ. დინუ („სტიაუა“), ინგლისი — ი. კალლანანი („ლიეტონ ორიენტი“), უნგრეთი — ი. ხორვატი („დოჟა უიპეშტი“), იტალია — ჯ. ანტონიონი („ფიორენტინა“), გდრ — ბ. ბრასნი („ხემი“), შვეიცარია — რ. ედენრეიხი („ნეიხოტელი“), შოტლანდია — დ. ხოლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი“), ავსტრია — ხ. კრანკელი („რაპიდი“), საფრანგეთი — ჟ. ბერეტა („სენტ-ეტიენი“). ჰოლანდია — ი. კრუიფი („ბარსელონა“), შვეიცარია — დ. დიუპო („ციურიხი“), ბულგარეთი — გ. იგანოვი („ლევსკი — სპარტაკი“), პორტუგალია — უმბერტო („ბენფიკა“), საბერძნეთი — ტერსანიდისი (პაოკ-ი), არგენტინა — ა. ბრინდიზი („ბურანკინ“), ბრაზილია — ფ. მარინიო („ბოტაფოგო“).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მეექვსე ტირაჟის შედეგები. ტირაჟი გაიმართა მოსკოვში ამა წლის 26 თებერვალს.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო. იმათი მოგება, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, 5 ათასი მანეთია (77 ბარათი); ოთხი ნომერი—82 მანეთი (5.727); სამი — 4 მანეთი (132.978).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი აგრეთვე ვერავინ ვერ გამოიცნო. იმათი მოგება, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, 3.812 მანეთია (35 ბარათი): ოთხი — 51 მანეთი (2.597); სამი—4 მანეთი (44.624).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ

რეკორდსმენთა ᲓᲣᲔᲚᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის საუკეთესო მძლეოსნები, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები და რეკორდსმენები — თბილისელი ანატოლი მოშიაშვილი და მინსკელი ვიქტორ მიასნიკოვი ერთად გამოვიდნენ მოსკოვში ძმები ზნამენსკების სახელობის ზამთრის სტადიონის 60-მეტრიან ბილიკზე თარჯვებით. ამჯერად გაიმარჯვა მიასნიკოვმა — 7,6 წამი. მოშიაშვილი მას 0,1 წამით ჩამორჩა. ეს იყო სოციალისტური ქვეყნების დინამოელ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების დასკვნითი დღის ყველაზე საინტერესო ასპარეზობა.

სპრინტერთა გარბენები 60 მეტრზე მოიგეს მიუნხენის ოლიმპიადის პრიზიორმა ალექსანდრე კორნელიუკმა (მოსკოვი) — 6,5 წამი და სვეტლანა ბელოგამ (ბრიანსკი) — 7,3 წამი.

მოსკოველმა ნადეჟდა ილინამ გაიმარჯვა 400 მეტრზე — 54,3 წამი, კიეველები ვლადიმერ კიბა (2,15 მეტრი) და ნადეჟდა ოსკოლოკი (1,81) საუკეთესონი იყვნენ სიმაღლეზე ხტომაში. სიგრძეზე ხტომა მოიგეს პოლონელმა რომან ნიცზეკციმ (7,42 მ) და ჩეხოსლოვაკიელმა იარმილა ნიგრინოვამ (6,14).

რამდენიმე სტრიქონით

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე რიგაში ტურნირის ლიდერმა — ადგილობრივმა ტტტ-მ კვლავ მოიპოვა გამარჯვება — ზედიზედ მე-20. აჯერად ლატვიელებმა მოუგეს ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ — 65:39. სარეკორდო ანგარიშით 105:46 ლენინგრადის „სპარტაკმა“ დაამარცხა ფრუნზეს „სტროიტელი“.

ᲒᲬᲠᲐᲕ. ლენინგრადში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ ტრადიციულ შეჯიბრებაზე მესამე დღის სტარტებიდან ყველაზე საინტერესო იყო ორი რეკორდსმენის — მოსკოველ ვლადიმირ ბურესა და ალექსანდრე სასსონოვის (მოსკოვის ოლქი) ორთაბრძოლა 200-მეტრიან დისტანციაზე. თავისუფალი სტილით. გაიმარჯვა ბ.ბურმ — 1.55,29, სასსონოვის დროა 1.55,90. სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ხარკოველმა ნატალია პოპოვამ — 2.19,66. კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვა ამერიკელმა ენ მარშალმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 1.07,43 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით — 2.08,08. შეჯიბრება დღისაც დამთავრდა.

ᲒᲠᲔᲜᲑᲐᲣᲠᲗᲘ. ჰოლანდიაში მიმდინარე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ვაჟთა გუნდების ფინალურ შეჯიბრებაზე მოსკოვის არმიელებმა ანგარიშით 3:0 დამარცხეს „ლაფეტიგიის“ (ეკრ) სპორტული კლუბი. ასეთივე ანგარიშით რიგის „რადიოტექნიკამ“ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მოუგო უნგრეთის „დოჟა უიპეშტს“.

ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა ვოროშილოვგრადის „ისკრამ“ კიდევ ერთი ქულა აიღო სევეროდონეცკში ბაქოს „ნეფტჩისთან“ — 3:0.

ᲰᲘᲯᲐᲜᲗᲐ. კიევში სპორტის სასახლეში დაიწყო ივანე პოდუბნის ტრადიციული, რიგით მე-14 მემორიალი კლასიკურ ჭიდაობაში. მონაწილეობს თოთხმეტი გუნდი. კარგად იასპარეზა თბილისელმა ჯემალ შეგრელიშვილმა, რომელმაც სძლია ფინელ რ. ბიერონს. პირველი გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე საბჭოთა ფალავნებმა ფ. მუსტაფინმა — ბ. დრეხლერთან (ეკრ) და ვ. კლიუჩნიკოვმა — მ. შირანისთან (ირანი).



ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲘ

ᲒᲘᲒᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲝᲑᲔᲜ...

„ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“ — ასეთი სახელწოდებით გამოვიდა 1941 წელს სამი გამორჩეული პრობლემისტის — ამერიკელებია ა. უაიტის, ფ. ვემეჯოს და ინგლისელი ჯ. მენსფილდის ერთობლივი წიგნი, რომელიც კომპოზიციის პოპულარული ჟანრის — ორსვლიანი ამოცანის განვითარებისადმი არის მიძღვნილი. იგი ერთი საუკუნის მანძილზე შექმნილი სხვადასხვა კომპოზიტორის ას თვალსაჩინო ნაწარმოებს მოიცავს. კრებულის ავტორებმა ეს ამოცანები დამოუკიდებლად და განსხვავებული კუთხით შეარჩიეს. ასე, მაგალითად, ვემეჯი საუკეთესოებს ეძებდა როგორც შემდგენელი, მენსფილდი ნაწარმოებებს განიხილავდა კონკურსის მსაჯის თვალით, ხოლო უაიტი შერჩევისას ამომხსნელის ინტერესებს ითვალისწინებდა. ამ ორიგინალური ცდის შედეგი შეტად საინტერესო და მოულოდნელი იყო — სამი გამორჩენილი ავტორიტეტის ხარი საკმაოდ განსხვავებული ალმოჩნდა. კერძოდ, ასიდან ნმოლოდ 17 ამოცანა მოიწონა ორმა, ხოლო ოთხად-ოთხი ნაწარმოები აღნიშნა ერთსულოვნად სამივემ!

ამოსახსნელად გთავაზობთ ავტორთა ტრიოს მიერ აღიარებულ ერთ-ერთ ამოცანას, რომელიც გამორჩენილ რუმინელ პრობლემისტს ი. შიშმანს (1904-1930) ეკუთვნის და I პრიზით არის დაჯილდოებული ინგლისის გაზეთ „ბრისტოლ ტაიმსის“ 1927 წლის კონკურსზე.

მართალია, თითქოს გვმოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ იმედია ჩვენი მკითხველები გაიზიარებენ „რუსულიანის საუკუნის“ ავტორთა აზრს ამ ნაწარმოების შესახებ.

Ი. ᲨᲘᲨᲛᲐᲜᲘ, 1927



ᲗᲔᲗᲠᲘ 2 ᲡᲕᲚᲐᲨᲘ.

ᲙᲚᲔᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲛᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ.

Ვ. ᲜᲔᲘᲫᲔ.

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

□ 3 ᲛᲐᲠᲢᲘ

17.05 — სტუდენტთა [illegible] მარგალად — ლექცია ზოგადად [illegible] კაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის — [illegible] ცერტი ცენტრალური [illegible] რი სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით, 18.50 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების კარი“, 20.00 — კინონარკვევი, 20.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — მ. ბერძენიშვილი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ქართული ხალხური საკრავების ანსამბლის კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „მეფე ლირი“ (II სერია). ქართულ ენაზე). დასასრულ — ახალი ამბები.

□ 4 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოშოროგრამა — „და კიდევ მოვლი სიცოცხლე“, 11.20 — მხატვრული ფილმი „დღე წინ არის“, 16.20 „ უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია —ქართულ ენაში, 17.05 — კინონარკვევი „ამსანაგი არტემი“, 17.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — დოკუმენტური ფილმი „პარტიის დაბადება“ — (ქართულ ენაზე), 18.25 — მოსწავლეთათვის — ჩვენი საოჯახო კლუბი“, 19.10 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 19.35 — „სპორტული მიმოხილვა“, 19.55 — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი მეფე ლირი“ (I მოქმედება), 21.20 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — კინონარკვევი —„პირველი ზარი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „მეფე ლირი“ (II მოქმედება). დასასრულ — ახალი ამბები.

□ 5 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „შინთვის, ახალგაზრდობავ!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ფერადი ტელევიზია. ეკრანზეა კინოკომედია — მხატვრული ფილმი „ვეფხვებმა მომთვინიერებელი“, 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.20 — კინონარკვევი „ამ სწრაფ სამყაროში“, 17.30 — სკოლების დასახმარებლად — „ინგლისური ენა“, 18.00 — განცხადებები, 18.05 — მოსწავლეთათვის —„ჩვენი პრესკონფერენცია“, 18.45 — „ვევამ ციროო შენებლობის ვადები“, 19.00 — კონცერტი, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „ვევამ ციროო შენებლობის ვადები“, 19.00 — კონცერტი, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „ეკონომიკა, ადამიანი, ცხოვრება“ — „ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ“ — „ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ“ — „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ